



საქართველო GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1325/01
15/02/2021

1325-01-2-202102151527



შპს „ლიდერ ბეტონს“

მისამართი: იურ. - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, ს.
თავწყარო

ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა
სანაპიროს ზედა ტერასა, „ოლიმპიური ქალაქის“
მიმდებარედ

ელ-ფოსტა: imereti.imereti@yahoo.com;

shalva.bezhiashvili@gmail.com; ტელ: 577992959

ასლი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

**შპს „ლიდერ ბეტონის“ ბეტონის წარმოების (ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ზედა
ტერასა, „ოლიმპიური ქალაქის“ მიმდებარედ) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების
სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის
ტექნიკური ანგარიშის გაუქმების შესახებ**

სამინისტროს N12861/01 (30.12.2020) და N505/01 (26.01.2021) წერილებით გეცნობათ, რომ
სამინისტრომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს „ლიდერ ბეტონის“ 2020 წლის 13 აგვისტოს
ბეტონის წარმოებისთვის (ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ზედა ტერასა, „ოლიმპიური
ქალაქის“ მიმდებარედ) შეთანხმებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული
წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის
გაუქმების თაობაზე.

გაცნობებთ, რომ „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3
პუნქტის თანახმად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ
გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის გაუქმება შესაძლებელია

ამ დოკუმენტის შეთანხმების უფლებამოსილების მქონე ორგანოს დასაბუთებული არგუმენტების საფუძველზე.

დოკუმენტის გაუქმების თაობაზე წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს მოქალაქე ანა ტრაპაიძის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი განცხადება (იხ. დანართი N15701; 05.10.2020), ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან (იხ. დანართი N18-0120296807; 22.10.2020) და სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან (იხ. დანართი N16-0120322890; 17.11.2020) მიღებული კორესპონდენცია, რომლის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.72.14.009.448) ვრცელდება როგორც „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული ძირითადი ზონირების რუკით (დანართი 1) სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), ასევე თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ით განსაზღვრული ფუნქციური ზონირება.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) წარმოადგენს სარეკრეაციო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა მსგავსი, გარდა სხვა სარეკრეაციო ზონებში მოქცეულისა; ამასთან, **რზ-1- ში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა**, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკების.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამინისტროში შემოსულია მოქ. მარიამ მაღრაძის ადმინისტრაციული საჩივრები (კორესპონდენციები #20395; 24.12.2020 და #82; 08.01.2021), რომლებითაც მოთხოვნილია შპს „ლიდერ ბეტონის“ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის გაუქმება.

სამინისტროს #12861/01 (30.12.2020) და #505/01 (26.01.2021) წერილებით, დაინტერესებულ მხარეს (რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, მოგვცათ საკუთარი მოსაზრების წარმოდგენის შესაძლებლობა (2021 წლის 1 თებერვლამდე) და გეცნობათ, რომ აღნიშნულ ვადამდე კომპანიის მიერ მოსაზრების წარმოდგენლობის შემთხვევაში, სამინისტროს მიერ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება შპს „ლიდერ ბეტონის“ ბეტონის წარმოების (ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ზედა ტერასა, „ოლიმპიური ქალაქის“ მიმდებარედ) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის გაუქმების შესახებ.


მოცემულ კორესპონდენციებზე შპს „ლიდერ ბეტონის“ მიერ სამინისტროში პოზიცია არ წარმოდგენილა.

გაცნობებთ, რომ სამინისტროს მიერ გაუქმებულ იქნა შპს „ლიდერ ბეტონის“ ბეტონის წარმოების (ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ზედა ტერასა, „ოლიმპიური ქალაქის“ მიმდებარედ) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

აღნიშნული აქტი შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

დანართი: ტექსტის შესაბამისად.

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის მოადგილე

